Для небытовых потребителей

# მომხმარებელთა საყურადღებოდ!

**საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (შემდგომში -„მარეგულირებელი კომისია„) რეკომენდაციას გაძლევთ** მიაწოდოთ მომსახურე საწარმოს მობილური ტელეფონის ნომერი ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართი, რათა ისარგებლოთ დარიცხული თანხის, გადახდის ბოლო ვადის, გათიშვის ზუსტი მიზეზისა და მომარაგების აღდგენის სავარაუდო დროის, ასევე განაცხადის რეგისტრაციის ნომრისა და თარიღის, საპასუხო წერილის გამოგზავნის შესახებ ტექსტური შეტყობინების სერვისით.

მომსახურე საწარმოს ან მისი თანამშრომლის მიერ მომხმარებლისათვის რაიმე სახის მოთხოვნის წაყენების შემთხვევაში, მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს ამ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი (შესაბამისი სამართლებრივი აქტის, მუხლის ან/და პუნქტის მითითება). მომსახურე საწარმოს თანამშრომლები ვალდებულნი არიან მომხმარებელს მიაწოდონ სრული ინფორმაცია ელექტროენერგიით ან სასმელი წყლით მომარაგების მომსახურებასთან დაკავშირებით, განუმარტონ მომხმარებლისა და საკუთარი უფლება-მოვალეობანი.

იმ შემთხვევაში, თუ მომსახურე საწარმოს თანამშრომლები არღვევენ თავიანთ მოვალეობებს და არ რეაგირებენ თქვენს საჩივარზე, შეგიძლიათ მიმართოთ მომსახურე საწარმოს საჩივრებზე რეაგირების სამსახურს, მარეგულირებელ კომისიას მისამართზე: ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. N19 ვებ გვერდი: www.gnerc.org ელ. ფოსტა: mail@gnerc.org ტელ: 16216, ან მარეგულირებელ კომისიასთან არსებულ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივ დამცველს მისამართზე: ქ. თბილისი, ა.მიცკევიჩის ქუჩა №19, ტელ: (032) 242 01 90. ვებ.გვერდი: http://www.pdci.ge ელ.ფოსტა: mail@pdci.ge

მარეგულირებელი კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილების 29 მუხლის შესაბამისად: ,,მომხმარებლის ელექტროენერგიით მომარაგების აღდგენის საფასური დღგ-ს ჩათვლით შეადგენს 2 ლარს“.

განაწილების ლიცენზიატს უფლება აქვს მომხმარებელს მოთხოვოს მის დეპოზიტზე თანხის შეტანა, მარეგულირებელი კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილების მე-10 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

**ძვირფასო აბონენტებო, სს „თელასი“ მოგმართავთ თხოვნით ქვითარში მითითებულ ვადაში, გადაიხადოთ მოხმარებული ელ. ენერგიის საფასური.**

## დარიცხული თანხის გადახდა დამატებითი საფასურის გადახდის გარეშე შესაძლებელია:

სს „საქართველოს ბანკის“ თვითმომსახურების ტერმინალებიდან უნაღდო ანგარიშსწორების და ავტომატური გადახდების შემთხვევაში, „ლიბერთი“ ბანკის ინტერნეტ და მობაილ ბანკების, ასევე ბანკის ფილიალებიდან და სერვის ცენტრებიდან მხოლოდ სოციალური კატეგორიის კლიენტებისათვის, TBC PAY სწრაფი გადახდის აპარატებით, რომლებიც განთავსებულია ბანკის ფილიალებში, ავტომატური კომუნალური გადახდების მომსახურების საშუალებით, სს „ბაზის ბანკის“ ინტერნეტბანკინგის, ბანკი კლიენტის საშუალებით, სს „ პროკრედიტ ბანკის“ ინტერნეტ ბანკინგის საშუალებით, სს „სილქ როუდ ბანკის“ სერვის ცენტრებში, მხოლოდ სს „სილქ როუდ ბანკის“ კლიენტებისათვის.

### სს „თელასის“ ანგარიშები:

| № | დასახელება | ანგარიშის ნომერი | კოდი |
|---|---|---|---|
| 1 | სს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია'' | GE83VT6600000000508302 | UGEBGE22 |
| 3 | სს ,,ლიბერთი ბანკი'' | GE12LB0114143140473000 | LBRTGE22 |
| 4 | სს ,,საქართველოს ბანკი'' | GE92BG0000000267071000 | BAGAGE22 |

სს ,,თელასის'' საინფორმაციო სამსახური (ქოლ-ცენტრი): 2 77 99 99 ან *9999 (დამატებითი 2). ელ.ენერგიის დატაცების ან/და სს ,,თელასის'' თანამშრომლების მხრიდან უკანონო ქმედებების შემთხვევაში გთხოვთ, დარეკოთ სს ,,თელასი''-ს ცხელ ხაზზე: 2 77 99 99 ან *9999 (დამატებითი 3).

ტარიფები ძაბვის საფეხურის მიხედვით: 220/380 ვოლტი - 21,31906 თეთრი/კვტსთ; 6-10 კილოვოლტი - 16,88226 თეთრი/კვტსთ; 35-110 კილოვოლტი - 16,11054 თეთრი/კვტსთ;

## შპს ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის'' ცხელი ხაზი: ტელ: 293 11 11

### დასუფთავების სპეცანგარიშები ბანკებში

| № | დასახელება | ანგარიშის ნომერი | კოდი |
|---|---|---|---|
| 1 | სს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია'' | GE89VT6600000002263603 | UGEBGE22 |
| 3 | სს ,,ლიბერთი ბანკი'' | GE55LB0114143140473002 | LBRTGE22 |
| 4 | სს ,,საქართველოს ბანკი'' | GE27BG0000000267071200 | BAGAGE22 |

ცნობებისათვის მიმართეთ: შპს ,,თბილსერვის ჯგუფი'', ტელ.: 2 61 90 50; მისამართი: ბელიაშვილის ქ. № 119-121 და კახეთის გზატკეცილი № 67; სს ,,თელასის'' გარე სერვისის სამსახური (დასუფთავება) 2 77 99 99 (შიდა 76 21).